კონკურსის პირობები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

საფინანსო და მატერიალური -ეკონომიკური უზრუნველყოფის სამსახურის ბუღალტერი

ადგილების რაოდენობა - 1.

თანამდებობრივი სარგო - 990 ლარი.

სამუშაოს ტიპი - არასრული განაკვეთი.

გამოსაცდელი ვადა - 3 თვე.

ფუნქციები:

- ორგანიზაციის სტანდარტული საბუღალტრო ოპერაციების შესრულება და გატარება საბუღალტრო პროგრამაში;
- შემოსული ბრძანებების მიხედვით მივლინებების წინასწარი გადახდებისა და დამოწმების დოკუმენტების დამუშავება;
- საავადმყოფო ფურცელზე და დეკრეტულ შვებულებაში მყოფი თანამშრომლების საავადმყოფო ფურცლის გაანგარიშება და რეაგირება;
- ძირითადი საშუალებების და მცირეფასიანი ინვენტარის აღრიცხვა, ცვეთის დარიცხვა და გატარება შესაბამის საბალანსო ანგარიშებზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების და გატარებების ჩასმა საბუღალტრო პროგრამის მოდულში;
- წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯვის შესახებ ყოველკვარტალური და ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და წარდგენა კანონმდებლობის შესაბამისად;
- სახაზინო და საბანკო ოპერაციების ნაწილობრივი განხორციელება;
- მონაწილეობის მიღება ფულადი სახსრების, ანგარიშსწორებათა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესში;
- ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვის წარმოება;
- საჭიროების შემთხვევაში ცვლის სამსახურის უფროსს - მთავარ ბუღალტერს.
- ტაბელის წარმოება

კანონმდებლობის ცოდნა:

- „საქართველოს შრომის კოდექსის" ზოგადი ცოდნა;

- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა;

ენების ცოდნა:

 ქართული ენის კარგად ცოდნა.

ინგლისური ენის ცოდნა

კომპიუტერის ცოდნა:

 Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი - დამაკმაყოფილებლად ცოდნა.

კომპეტენციები:

 პასუხისმგებლობის გრძნობა, გამართულად წერისა და მეტყველების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროდუქტიულობა.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

 განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;

 პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

 ავტობიოგრაფია/CV;

 ორი რეკომენდატორის: სახელი, გვარი: სამუშაო ადგილი; თანამდებობა; ტელეფონის ნომერი; ელ.ფოსტის მისამართი.

 განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი.

შენიშვნა:

1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.

2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით წარმოდგენილი.

3. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარმოდგენა).

4. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2025 წლის 17 მარტიდან - 21 მარტის ჩათვლით ელ. ფოსტაზე- xlomidze@sipt.org.ge და www.HR.GOV. Ge მეშვეობით.

კონკურსი გაიმართება 2025 წლის 01 აპრილს

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან

არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.